



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 283

2 ივლისი
“ --- ” ----- 2021 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დიდ დილოში ასასვლელ გზასა და ფარნავაზის ქუჩის გადაკვეთასთან;
ქალაქ თბილისში, დიდი დილოს დასახლებაში, ჰიპერმარკეტ „გუდვილი“-ს მიმდებარედ;
ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი №1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე
(საკადასტრო კოდები: №01.10.06.011.083; №01.10.06.011.063) მრავალფუნქციური
კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2
პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის
24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ
თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 1 ივლისის №21.918.1032
განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, დიდ დილოში ასასვლელ გზასა და
ფარნავაზის ქუჩის გადაკვეთასთან; ქალაქ თბილისში, დიდი დილოს დასახლებაში,
ჰიპერმარკეტ „გუდვილი“-ს მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი
№1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.10.06.011.083;
№01.10.06.011.063) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის
პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ
ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01210824023-67 (№ 01211523474-67;
№01211543663-67; №01211701-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის
შესაბამისად.


2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების
განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 21.918.1032
1 / ივლისი / 2021 წ.

ქალაქ თბილისში, დიდ დილოში ასასვლელ გზასა და ფარნავაზის ქუჩის გადაკვეთასთან; ქალაქ თბილისში, დიდი დილოს დასახლებაში, ჰიპერმარკეტ „გუდვილი“-ს მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.06.011.083; N01.10.06.011.063) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 23 მარტს N01210824023-67 (N 01211523474-67; N01211543663-67; N01211701-67) განცხადებით მიმართეს რომელ სარიამ (პ/ნ 51001000417) და მალხაზ კურტანიძემ (პ/ნ 01011046942) და მოითხოვეს ქალაქ თბილისში, დიდ დილოში ასასვლელ გზასა და ფარნავაზის ქუჩის გადაკვეთასთან; ქალაქ თბილისში, დიდი დილოს დასახლებაში , ჰიპერმარკეტ „გუდვილი“-ს მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.06.011.083; N01.10.06.011.063) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დიდ დილოში ასასვლელ გზასა და ფარნავაზის ქუჩის გადაკვეთასთან, ჰიპერმარკეტ „გუდვილი“-ს მიმდებარედ და ფარნავაზ მეფის გამზირი, N1ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.06.011.083; N01.10.06.011.063); საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია: 43 100 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

„ქალაქ თბილისში, დიდ დილოში ასასვლელ გზასა და ფარნავაზის ქუჩის გადაკვეთასთან; ქალაქ თბილისი, დასახლება დიდი დილოში, ჰიპერმარკეტ „გუდვილი“-ს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი N1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.06.011.083; N01.10.06.011.063) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N285 განკარგულებით გაცემულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გვემარებითი დავალება.

საპროექტო წინადადებით დაგეგმილია მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, კომერციული) კომპლექსის განაშენიანება: დომინირებული სახეობა საცხოვრებელი, რომელიც განაშენიანების 75%-ს შეადგენს, ხოლო 25% - კომერციულია. ამასთან, კომპლექსი შედგება შვიდი მაღლივი შენობა-ნაგებობისაგან, რომელთა სართულიანობა მერყეობს 15-დან 33 სართულის ჩათვლით.



ჰიპერგეტი „გუდვილი“ განთავსდება 28, 33 სართულიანი შენობა-ნაგებობის პირველ ორ სართულზე არსებული კონფიგურაციით. მირიან მეფისა და ფარნავაზ მეფის ქუჩების კვეთასთან არსებული გამწვანებულ ტერიტორიაზე გაკეთდება კეთილმოწყობილი სკვერი.

არსებული ზონირება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)

საპროექტო ზონირება: საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

შენობის ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი: 43 100 კვ.მ. სსზ-2, რზ-2 , ტზ-1,

N1 სექტორი: 28 226 კვ.მ.

სსზ-2 - 21 730 კვ.მ.

რზ-2 - 3 094 კვ.მ.

ტზ-1 - 3 402 კვ.მ.

კ-1=0,4 -10 000 კვ.მ.

კ-2=4,3; 122 331 კვ.მ.

(75% - საცხოვრებელი; 25% - კვ.მ. - კომერციული)

კ-3=0,2 - 5 650 კვ.მ.

მაქსიმალური სართულიანობა 15-28 ჩათვლით

N2 სექტორი: 14 874 კვ.მ.

სსზ-2 - 14 874 კვ.მ.

კ-1=0,5 -7 000 კვ.მ.

კ-2=4,5; 67 110 კვ.მ.

(75% - საცხოვრებელი; 25% - კვ.მ. კომერციული)

კ-3=0,2 - 3 100 კვ.მ.

მაქსიმალური სართულიანობა 33

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის დასახლება N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული

ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუწეონიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 24 ივნისის N01211752753 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა N01.10.06.011.083 და N01.10.06.011.063 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 23 ივნისის N01211743470 წერილის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ყოვლივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში ასასვლელ გზასა და ფარნავაზის ქუჩის გადაკვეთასთან; ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, ჰიპერმარკეტ „გუდვილი“-ს მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.06.011.083; N01.10.06.011.063) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01210824023-67 (N01211523474-67; N01211543663-67; N01211701-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში ასასვლელ გზასა და ფარნავაზის ქუჩის გადაკვეთასთან; ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, ჰიპერმარკეტ „გუდვილი“-ს მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე

(საკადასტრო კოდები: N01.10.06.011.083; N01.10.06.011.063) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.


3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმაღაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი





კახა კალაძე



საქონლის მფლობელი	საქონლის მფლობელი
საქონლის მფლობელი	საქონლის მფლობელი
საქონლის მფლობელი	საქონლის მფლობელი
საქონლის მფლობელი	საქონლის მფლობელი

[illegible][illegible]

[illegible]




მიმის ნაკეთებას დაბალური
ნაკეთებას დოკუმენტი;
ნაკეთი - 1,2


ნაკეთი	02/06/21	ნაკეთი	12500 1/1000
ნაკეთი	A - 1	ნაკეთი	24

	საერთაშორისო ბიენიელები
	საერთაშორისო დავითის ღირებულებები
	საერთაშორისო ნაშრომები
	საერთაშორისო კონკურსები



☒	☒	სპარკები (სპარკები)
☒	☒	მწვანე ბუნებრივი პრეზი
☒	☒	საფუძველი ნაქვეთი კანკარები, მინარეზი, კურობები, მინარეზი, მინარეზი, მინარეზი, მინარეზი, საფუძველი პრეზი, მინარეზი, მინარეზი, მინარეზი, საფუძველი პრეზი, მინარეზი, მინარეზი, მინარეზი
	7 28	

[illegible][illegible]

65532000 - 1
1:1000



65533070 - 2
1:1000

[illegible]



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01211752753
თარიღი: 24/06/2021
პინი: 0766

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში განიხილა მიმდინარე წლის 21 ივნისის №01211701-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირზე (ს/კ: 01.10.06.011.083, 01.10.06.011.063, ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში **01.10.06.011.063 საკადასტრო ერთეულზე** აღწერილი **6 ძირი (№30, №33-№37)** მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ნარგავების რაოდენობა 15-ზე ნაკლებია, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ **01.10.06.011.063 საკადასტრო ერთეულზე** აღწერილი **21 ძირი (№4, №6, №10, №13, №20, №32, №53-№57, №60-№69)** მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების 21-ე მუხლის 1¹ პუნქტისა და 21² მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული **21 ძირი** მწვანე ნარგავი, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, განმცხადებლის მიერ საპროექტო წინადადებით შემოთავაზებული გამწვანების (კ-3) კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი შეადგენს **8 750 მ²**-ს. წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (**არსებული: 38 ძირი**, ასევე, **გადასარგავი: 21 ძირი** მწვანე ნარგავი და **საპროექტოდ დასარგავი: 40 ძირი** მინდვრის ნეკერჩხალი, **40 ძირი** კავკასიური ცაცხვი, **100 ძირი** ჰიმალაის კედარი, **40 ძირი** იაპონური სოფორა, **40 ძირი** ხე ტიტა, **40 ძირი** უნგრული ცაცხვი - **ჯამში: 359 ერთეული**) სრულად

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, **სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა 01.10.06.011.083 და 01.10.06.011.063 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01211743470

თარიღი: 23/06/2021

პინი: 5940

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

2021 წლის 21 ივნისის N 01211701-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, პიპერმარკეტ "გუდვილი"-ს მიმდებარედ, ფარნავაზ მეფის გამზირი, N 1ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.10.06.011.083, 01.10.06.011.063) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა დაგეგმილი პროექტი, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გაცნობთ:

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გვემარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2020 წლის 17 სექტემბრის N 01202614383-67 განცხადების პასუხად N 01202622914 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციები, პერსპექტიული სატრანსპორტო გზების სქემასთან დაკავშირებით, განხილული და გათვალისწინებულია წარმოდგენილი პროექტის დოკუმენტაციაში. სააგენტო, საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიის მოთხოვნილი კ2 კოეფიციენტით განაშენიანების შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღებს გენერირებული და მიზიდული ავტომობილების ზეგავლენას, რადგანაც აღნიშნული განაშენიანება აღარ განიხილება ინდივიდუალურ ტრანსპორტზე დამოკიდებულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

